



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030481625663017

04-540/ო

08 / აგვისტო / 2017 წ.

„მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 23 სექტემბრის N04-404/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის, საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1.„მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიური დებულებისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 23 სექტემბრის N04-404/ო ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებულ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს რეგიონული საბჭოების ტიპიურ დებულებაში (დანართი N1) (შემდგომში – დებულება) შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შემთხვევას განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ის რეგიონული საბჭო, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე იმყოფება პირი, გარდა რეინტეგრაციის შემთხვევისა. რეინტეგრაციის შემთხვევას განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს იმ საბჭოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზე ფაქტობრივად ცხოვრობს ბავშვის ოჯახი. თუ ბავშვი და მისი ოჯახი ცხოვრობენ სხვადასხვა ტერიტორიაზე, რეინტეგრაციის დამტკიცების შემდგომ, გადაწყვეტილება უნდა გადაეგზავნოს იმ რეგიონულ საბჭოს, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობდა/ირიცხებოდა ბავშვი რეინტეგრაციის დამტკიცებამდე, იმ მიზნით, რომ შესაბამისმა რეგიონულმა საბჭომ/უფლებამოსილმა პირმა მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის მომსახურებიდან ამორიცხვის ან მისთვის მინდობით აღზრდის შეწყვეტის თაობაზე.“;

ბ) დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი :

„6. იმ შემთხვევაში, თუ პირი უნდა გადავიდეს სხვა მომსახურებაში/მზრუნველობის ფორმაში, პირველ რიგში, შესაბამისი საბჭოს/უფლებამოსილი პირის მიერ განხილულ უნდა იქნეს პირის ჩარიცხვის/განთავსების საკითხი, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი - წინა მომსახურების/მზრუნველობის ფორმის შეწყვეტის/მომსახურებიდან ამორიცხვის საკითხი.“;

გ) დებულების მე-7 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარი ან ნახევარზე მეტი.“.

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) უზრუნველყოს, დოკუმენტრუნვის

ელექტრონული სისტემის მეშვეობით, წინამდებარე ბრძანების დაგზავნა სააგენტოს ყველა სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულისათვის.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე